

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის არსებული გამოწვევები და პრობლემური მიმართულებები

2013 წლის ნოემბერი

ავტორი: უჩა სეთური

წინამდებარე კვლევა მომზადდა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის - „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“- ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას. წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

©ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2013 წელი. ყველა უფლება დაცულია

სარჩევი

| | |
|--|----|
| საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის არსებული გამოწვევები და პრობლემური მიმართულებები..... | 1 |
| 1. შესავალი | 3 |
| 2. მდგომარეობა პოსტსაბჭოთა სივრცის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და კავკასიის რეგიონში | 6 |
| 2.1 ბელარუსი | 6 |
| 2.2 მოლდოვა | 7 |
| 2.3 რუსეთის ფედერაცია | 7 |
| 2.4 უკრაინა | 10 |
| 2.5 სომხეთი | 13 |
| 2.6 აზერბაიჯანი | 14 |
| 3. საქართველოს სამაუწყებლო ბაზრის მოკლე მიმოხილვა..... | 16 |
| 4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიცია და ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ორიენტირები | 21 |
| 5. რეკომენდაციები საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის..... | 25 |
| 5.1. ბოლო მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა..... | 26 |
| 5.2. გაუმჭვირვალე და დაურეგულირებელი ბაზარი..... | 28 |
| 5.3 რეგიონული მაუწყებლების დახმარების სტრატეგიის და პოლიტიკის არარსებობა | 29 |
| 5.4. ტარიფების გაანგარიშების წინასწარი მოდელი | 30 |
| 5.5. კონკურენცია | 31 |
| 5.6 რეგიონული და ადგილობრივი მედიის ინტერესების გათვალისწინება..... | 36 |

1. შესავალი

2015 წლის 17 ივლისი, ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის ის ვადაა, რომლის დაცვაც საქართველომ ჟენევის შეთანხმების ხელმოწერით იკისრა, თუმცა ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ყველაზე ცოტა გაკეთდა და ის ამ ეტაპამდე არც კი მოიაზრებოდა შესწავლის ობიექტად გაციფრულების პროცესზე დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის.¹

აღნიშნული საკითხის მოწესრიგება საქართველოს მთავრობის და კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრეროგატივას წარმოადგენდა, თუმცა 2012 წლის ბოლომდე არანაირი ქმედითი აქტივობა არ დაფიქსირდა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარდა გარკვეული სამუშაოები, თუმცა სიხშირეების ლიცენზირების, ბაზრის კვლევისა და ანალიზის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით საკამოდ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში, დუნია მიატოვიჩმა 2013 წლის 13 ნოემბერს თბილისში ვიზიტის დასრულებისას საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, შეინარჩუნოს მედიის თავისუფლებისკენ მიმავალი კურსი. მედიის თავისუფლებას საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგში უმთვრესი ადგილი უკავია და მაღლობელი ვარ მათი მზადყოფნისა, გააგრძელონ თანამშრომლობა ჩემს ოფისთან". მიატოვიჩმა ასევე მოუწოდა ხელისუფლებას, დასახოს ვადები და გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად, ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.²

¹ შენიშვნა: 2013 წლის აირისის (ევროპული აუდიოვიზუალური ობსერვატორია) ანგარიშში საქართველოს შეფასება არ განხორციელდა. IRIS plus 2013-1 Digital Switchover *Digital Plans and Reality: Switchover in Russia and other CIS Countries*. http://www.obs.coe.int/oea_publications/iris_plus/2013-1.html

² <http://www.media.ge/ge/portal/news/301726/>

ჩვენს მეზობლად, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი რამდენიმე წლის წინ დაიწყო. საქართველოში, ისევე როგორც ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებში, ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა, 2015 წელსაა დაგეგმილი. მიუხედავად მეზობელი ქვეყნების გადადგმული ნაბიჯებისა და არსებული პრობლემებისა, პოლიტიკური ნების არარსებობის გამო ინფორმაციის გავრცელების მონოპოლიზირების გზით, საფრთხე ექმნება დემოკრატიული ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს სიკეთეს - გამოხატვის თავისუფლებას და მედიის მრავალფეროვნებას. ცუფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მთავარ გამოწვევად ჩვენს მეზობლად, არსებული მაუწყებლების ფინანსური პრობლემები რჩება, რაც მცირე ბიუჯეტის, რეგიონული და ადგილობრივი მედია საშუალებებისათვის გადარჩენის შანსებს ამცირებს.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვისათვის საჭირო დროის სიმცირის გამო, ისევე როგორც მიწოდების და მოხმარების მხარეს საჭირო აქტივობების მრავალფეროვნების და დაინტერესებული მხარეების სიმრავლის გამო, ჩვენი მოსაზრებით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ არსებული ინფორმაცია არასაკმარისია. იმ ოფიციალური ინფორმაციით, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე ვრცელდება, მოიცავს მონაცემებს სიხშირული რესურსის ოპტიმიზაციის მიმართულების შესახებ, თუმცა სხვა ნაწილში ინფორმაცია მწირია. აღნიშნული არ იქნებოდა საგანგაშო, რომ არა სახელმწიფოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის არარსებობის ფაქტი. გაურკვეველია თუ როგორი იქნება მომხმარებლის მხარეს განსახორციელებელი აქტივობების მოცულობა და შინაარსი.

სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, რაც სასურველია, რომ დასრულდეს 2013 წლის ნოემბერში, უნდა მოხდეს საჭირო ცვლილებების შეტანა კანონებში „მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და სხვა დაკავშირებულ კანონებში 2013 წლის საშემოდგომო მორიგი სესიების დასრულებამდე. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვეყნის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკონკურსო და სხვა დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტის განხილვა და მისი შესაბამისი რეგისტრაცია, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზებით, შესაძლოა დასრულდეს 2014 წლის 1 აპრილამდე, ხოლო თავად მულტიპლექს ოპერატორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება და გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა ვერ დასრულდება 2014 წლის 1 ივნისამდე. ქსელის საბოლოო გეგმის შედგენის, მისი

აგების, ოპტიმიზაციის, სატესტო რეჟიმის ჩათვლით, ისევე როგორც არსებული ანალოგური მაუწყებლების განთავსების, ბოლო მომხმარებლების ინფორმირების და რისიკერების (მიმღებების) დარიგება-სუბსიდირების სამუშაოების გარდა, არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელიც ასევე დროს და რესურსს მოითხოვს.

იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი ცვლილებების განხორციელება და კონკურსის ჩატარების აქტივობები ვერ დასრულდება მოყვანილ ვადებში, ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა 2015 წლის 17 ივნისამდე, არარეალური იქნება.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია ის მთავარი რეკომენდაციები, რომლებიც მიზანშეწონილია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკის დოკუმენტში იყოს ასახული. აღნიშნული წინადადებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ მინიმუმამდე დავა ის რისკები, რომლებიც, შესაძლოა, მედიის განვითარებას და თავისუფლებას, მის მრავალფეროვნებას და ზოგადად, მედია გარემოს სიჯანსაღეს ემუქრებოდეს, როგორც მოცემულ, ციფრულ მაუწყებლობაზე გარდამავალ, ასევე ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის პერიოდში.

2. მდგომარეობა პოსტსაბჭოთა სივრცის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და კავკასიის რეგიონში

2.1 ბელარუსი³

ბელარუსში ციფრული საეთერო მაუწყებლობის არხები 2005 წლის 1 ივლისს გახდა ხელმისაწვდომი. სატესტო რეჟიმი მინსკში DVB-T და MPG2 სტანდარტში ამოქმედდა, რომელიც ერთ კილოვატიანი გადამცემით ფარავდა ტერიტორიას 60 კილომეტრიანი რადიუსით. 2005 წლის 8 დეკემბერს მთავრობამ დაამტკიცა ბელარუსის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პროგრამა და სამოქმედო გეგმა⁴, რომლის შესაბამისად 2010 წელს უნდა დაფარულიყო ქვეყნის ტერიტორიის 45%, ხოლო 2015 წლისათვის ტერიტორიის 75%. 2009 წლის მდგომარეობით დაფარული იყო ტერიტორიის 51%. ბელარუსს სამოქმედო გეგმის კორექტირება რამოდენიმეჯერ მოუწია, თუმცა ეს სამუშაო პროცესში წარმოშობილი გამოწვევების და პრობლემების გამო განხორციელდა. სახელმწიფოს მიერ შექმნილი გაციფრულების საზედამხედველო საბჭოს ხელმძღვანელის სერგეი დუდარევის (Sergei Dudarev) ინიციატივით, 2013 წლის მონაცემებით ციფრული საეთერო ქსელი ფარავს ქვეყნის 82%-ს, ხოლო ციფრულად პროგრამების მიღების შესაძლებლობა აქვს მოსახლეობის 93%-ს.⁵

ბელარუსის მოსახლეობის უმეტესობა დამოკიდებულია საეთერო პლატფორმაზე, თუმცა ქალაქებში საკმაოდ დიდია საკაბელო სამაუწყებლო პლატფორმის კონცენტრაცია. ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა დაგეგმილია 2015 წელს. ბელარუსის პრაქტიკის უარყოფით მხარედ უნდა შეფასდეს საინფორმაციო კამპანიის ნაკლებობა და სახელმწიფო სუბსიდირების ფონდის სიმცირე, ისევე როგორც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სამაუწყებლო ქსელის ოპერატორზე ქსელის დამოკიდებულების ხარისხი.

³ შენიშვნა: ბელარუსის ტერიტორია შეადგენს 207,600 კმ², ხოლო მოსახლეობა 9.7 მილიონს. ქვეყანაში 3.7 მილიონი ოჯახია, ხოლო ტელევიზორების რაოდენობა შეადგენს 4.5 მილიონს.

⁴ The DTT switchover experience in Ukraine, Belarus and Russia

http://109.237.83.117/files/new/NMD_Workshop_DigiTAG_Bucharest_25-26_March_2010.pdf

⁵ Belarus brings forward switchover to 2012 . July 22, 2011

<http://www.digitaltveurope.net/8864/belarus-brings-forward-switchover-to-2012-2/>

2.2 მოლდოვა ⁶

ციფრული საეთერო პლატფორმა კომინიოვში 2003 წლის სექტემბერში ამოქმედდა, რომელიც ოთხი არხის ტრანსლირებას ახდენდა. ეს ქსელი ერთი გადამცემით ფარავდა ქალაქის მოსახლეობის 90%-ს. მეორე სატესტო მულტიპლექსორი აიგო სლობოდიაში. 2007 წელს მოლდოვამ წარმოადგინა ქვეყნის გაციფრულების კონცეფცია⁷, ხოლო DVB-T და MPEG-4 სტანდარტი ამავე წელს, დამტკიცდა პარლამენტის მიერ. 2009 წლიდან დაგეგმილი იყო რეგიონალური ციფრული საეთერო მულტიპლექსორების ამოქმედებაც. ურთიერთობები რეგულირდება როგორც ელექტრონული კომუნიკაციების კანონით, ასევე მოლდოვის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმით.⁸

მოლდოვაში საკამოდ დიდია ანალოგური საკაბელო პლატფორმის ხვედრითი წილი, კერძოდ, ის 70%-ს შეადგენს, ციფრული საკაბელო 1%-ია, თანამგზავრული მაუწყებლობა 8%, ხოლო დანარჩენი 21% ანალოგური საეთერო პლატფორმას უკავია.

2.3 რუსეთის ფედერაცია ⁹

პირველი საპილოტე ციფრული საეთერო ქსელი ამუშავდა ნიჟნი ნოვგოროდში 2000 წელს, რამდენიმე თვეში კი სანკტ-პეტერბურგში. 2003 წელს მოსკოვში ამოქმედდა საცდელი ციფრული საეთერო ქსელი მობილურ რეჟიმში, კერძოდ ავტომანქანებში მიღების უზრუნველსაყოფად. 2007 წლის აპრილიდან, კომერციული მობილური DVB-H სტანდარტის საცდელი პლატფორმა ამოქმედდა სვერდლოვსკის რეგიონში, ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში. 2009 წელს ქვეყნის ტერიტორიის 1% და მოსახლეობის 1% დაფარული იყო ციფრული საეთერო ქსელით. 2009 წელს მოსკოვში ასევე

⁶ შენიშვნა: მოლდოვა -ტერიტორია 33 846 კმ², მოსახლეობა 3.6 მილიონი, ოჯახები 1.2 მილიონი, 4 მილიონი ტელევიზორი.

⁷ digitag 2009. The status of digital terrestrial television (DTT) in the former USSR republics <http://www.digitag.org/MembersOnly/Reports/Post-Soviet%20Report%20Version1.2.pdf>

⁸ Organization for Security and Co-operation in Europe Office of the Representative on Freedom of the Media ANALYSIS OF THE PROGRAMME ON THE TRANSITION FROM ANALOGUE TERRESTRIAL TELEVISION TO DIGITAL TERRESTRIAL TELEVISION IN THE REPUBLIC OF MOLDOVA, 2012. <http://www.osce.org/fom/92575>

⁹ შენიშვნა: რუსეთის ტერიტორია შეადგენს 17 მილიონ კმ²-ს, 142 მილიონი მოსახლე, 45 მილიონი ოჯახი, 100 მილიონი ტელევიზორი.

ამოქმედდა DVB-H მოძრავ რეჟიმში მიღებაზე გათვლილი საცდელი ქსელი. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია¹⁰ მთავრობამ დაამტკიცა 2009 წლის 21 სექტემბერს¹¹. ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა დაგეგმილი იყო 2015,¹² თუმცა ეს სრული გადასვლა ციფრულ საეთერო პლატფორმაზე, სავარაუდოდ 2017 წელს დასრულდება.

2009 წლის ნოემბრის მონაცემებით სამაუწყებლო პლატფორმები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული¹³:




Figure 1. გამოყენებულია ევროპის მაუწყებელთა გაერთიანების რესურსები

¹⁰ The Concept of Federal Special-Purpose Program of TV and Radio Broadcasting Development for 2009-2015 in Russia, 2009.

¹¹ Development of Digital Terrestrial Television in Russia and Ukraine © 2010, European Audiovisual Observatory, Strasbourg, France . http://www.obs.coe.int/oea_publications/iris_plus/iplus1LA_2010.pdf

¹² Russia to complete analogue switch-off in 2017, November 14, 2012, Andrew katolo. http://www.screendigest.com/news/2012_11_russia_to_complete_analogue_switch-off_in_2017/view.html

¹³ digitag 2009. The status of digital terrestrial television (DTT) in the former USSR republics <http://www.digitag.org/MembersOnly/Reports/Post-Soviet%20Report%20Version1.2.pdf>

აღსანიშნავია, რომ 1.5 მილიონამდე მოსახლეობის (დაახლოებით 10 000 სოფელში) მოკლებული შესაძლებლობას მიიღოს რაიმე ტიპის ანალოგური საეთერო სიგნალი, ხოლო 3.7 მილიონი მოსახლეს აქვს შესაძლებლობა მხოლოდ ერთ საეთერო არხს უყუროს.

რუსეთის ფედერაციის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად გაწერილია ქსელის აგების სამუშაოების 4 ეტაპი : პირველ ეტაპზე (2009 – 2010) უნდა გაციფრულდეს 12 რეგიონი, უნდა დამონტაჟდეს 2324 გადამცემი, რომელიც დაფარავს მოსახლეობის 7.7%-ს, მეორე ეტაპზე (2011 – 2012) გაციფრულებამ უნდა მოიცვას 39 რეგიონი და მოსახლეობის 39.4% დამატებით 1566 გადამცემის მეშვეობით, მესამე ეტაპზე (2012 – 2013) გაციფრულების პროცესმა უნდა მოიცვას სრულად 79 რეგიონი და მოსახლეობის 94%, ხოლო დამატებით 1552 გადამცემი, ხოლო მეოთხე ეტაპზე (2013 – 2015) ყველა 83 რეგიონში, 6530 გადამცემების საერთო რაოდენობით უნდა დიფაროს მოსახლეობის 100%. სახელმწიფო პროგრამისთვის საჭირო ფინანსების 62%-ს ფარავს სახელმწიფო, ხოლო დანარჩენს კომერციული სტრუქტურები და ინვესტორები.

დაფინანსება, აქტივობების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:




Figure 2. DIGITAG-ის რესურსი

რუსეთის ფედერაციის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მთავარ პრობლემად შესაძლოა მივიჩნიოთ:

- ის გარემოება, რომ კომპანია „რუსეთის სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო ქსელის“ საკუთრებაშია რუსეთის საეთერო ციფრული ქსელის 80%. ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა.¹⁴ ხოლო ის კომპანიები, რომლებიც დანარჩენ 20%-ს ფლობენ დიდ წილად სწორედ „რუსეთის სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო ქსელის“ დაფუძნებულია;
- 2009 წლის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 24 ივნისის აქტი, რომლის შესაბამისად პირველ ეროვნულ მულტიპლექსორზე განსათავსებელი ე.წ. სავალდებულო არხების სია განისაზღვრა;¹⁵

2.4 უკრაინა¹⁶

პირველი საცდელი ციფრული საეთერო მულტიპლექსორი კიევში 2002 წელს ამოქმედდა. 2006 წელს (რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა) მოხდა მათი მოდერნიზაცია. უკრაინის ეროვნული ტელერადიო სამაუწყებლო საბჭომ (National Television and Radio Broadcasting Council of Ukraine (NTVCU))¹⁷ 2007 წლის დეკემბერში შემოიღო MPEG-4 კომპრესიის ტექნოლოგია, ხოლო 2009 წელს უკრაინის გაციფრულების სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა (*State Program for DTT Introduction in Ukraine*).¹⁸ 2008 წლიდან ოდესის რეგიონში ამოქმედდა მულტიპლექსორი, რომლის მეშვეობითაც 9 სატელევიზიო არხი ვრცელდებოდა ციფრულ რეჟიმში. ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა დაგეგმილია 2014-2015 წლებში, თუმცა არსებობს პრობლემები მთელი რიგი მიმართულებით.

¹⁴ Федеральное государственное унитарное предприятие, Российская телевизионная и радиовещательная сеть. <http://www.rtrn.ru/>

¹⁵ <http://www.comnews.ru/node/70907>

¹⁶ შენიშვნა: ტერიტორია 603 ათასი კმ², მოსახლეობა 46 მილიონი, 16 მილიონი ოჯახი, 23 მილიონი ტელევიზორი.

¹⁷ <http://nrada.gov.ua/en.html>

¹⁸ http://archive.nbu.gov.ua/portal/natural/Zvjazok/2011_1/gofay.pdf

2009 წლის ნომრების მონაცემებით, სამაუწყებლო პლატფორმები შემდეგნაირადაა გადანაწილებული¹⁹:




Figure 3. გამოყენებულია DIGITAG-ის რესურსი

უკრაინის მთავრობის მიერ გამოკვლეულია მომხმარებლის მიმღები ანტენების კონცენტრაცია და ტიპებიც. სახლის ინდივიდუალური ანტენების კონცენტრაცია შეადგენს 30%-ს, ინდივიდუალური სახურავის ანტენების რაოდენობა შეადგენს 27%-ს, კოლექტიური სახურავის ანტენების კონცენტრაცია 20%, სხვა ტიპის ანტენებისა 23%.

ციფრული ქსელის აგების გეგმა უკრაინაში, რუსეთის ფედერაციის მსგავსად ოთხ ეტაპიანია. უკრაინის 8 მულტიპლექორი განაწილებულია შემდეგნაირად:

- Mux 1 - ფასიანი DTT სერვისებისათვის
- Mux 2, Mux 3, Mux 4 უფასო DTT სერვისებისათვის
- Mux 5 ადგილობრივი DTT სერვისებისათვის
- Mux 6 მობილური DVB-H სტანდარტის სერვისებისათვის
- Mux 7 და Mux 8 HDTV და pay-TV სერვისებისათვის.

უკრაინამ რამდენიმე წლია რაც დაიწყო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი, თუმცა მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, მოუგვარებელ

¹⁹ digitag 2009. The status of digital terrestrial television (DTT) in the former USSR republics <http://www.digitag.org/MembersOnly/Reports/Post-Soviet%20Report%20Version1.2.pdf>

პრობლემად რჩება რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების ციფრულ ქსელში განთავსების საკითხი, რაც ტრანსლირების ანუ მულტიპლექსორში განთავსების ტარიფის სიდიდეზეა დამოკიდებული. ადგილობრივი მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებით აღნიშნული პრობლემები, პოლიტიკური ნების არარსებობითაა განპირობებული. აღნიშნული მდგომარეობა მცირე ბიუჯეტის, რეგიონული და ადგილობრივი მედია საშუალებებისათვის გადარჩენის შანსებს ამცირებს. არსებობს კითხვები მულტიპლექსორთან დაშვების ტარიფების ხარჯებზე ორიენტირებასთან დაკავშირებით. დადგენილი ტარიფები **საკმაოდ მაღალია, ხოლო მულტიპლექსორის მფლობელი კომპანია რიგი მაუწყებლების მიმართ 80%-იანი ფასდაკლებაზეც თანხმდება, თუმცა დისკრიმინაციულად და შესაბამისი დასაბუთების გარეშე.** არსებობს ბიზნესის რისკი თავად მულტიპლექსორის მფლობელისთვისაც, რადგან მისი ქსელის არსებული სიმძლავრეების დიდი ნაწილი დაუტვირთავი რჩება.

მიუხედავად იმისა თუ ვინ იქნება მიწისზედა საეთერო ქსელის მესაკუთრე, კონკურენტისაგან მისი დაცულობის შემთხვევაში, მას შექმნილი ექნება სასათბურე პირობები ექსკლუზიური ქსელის შესაქმნელად და დაკისრებული ექნება ვალდებულებები, რომლითაც წარმატებით მოახერხებს სახელმწიფოსთან ვაჭრობას, განსაკუთრებით ისეთი სოციალურად მტკივნეული საკითხით, როგორცაა რისივერების დაფინანსება და რაც ყველაზე მთავარია მათი დარიგება-გამართვა. ეს საკითხი უფრო აქტუალურია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კონტექსტში.²⁰ უკრაინელმა ჩინოვნიკებმა პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული რისივერები თავად დაარიგეს მოსახლეობაში.

²⁰ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის უკრაინული მაგალითები., ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2013 წელი <http://www.idfi.ge/?cat=news&topic=423&lang=ka>

2.5 სომხეთი²¹

სომხეთის პარლამენტის მიერ 2009 წელს დადგინდა ციფრული საეთერო მაუწყებლობის სტანდარტები და კომპრესიის ფორმატი. სომხეთის ეკონომიკის სამინისტრომ დაადგინა „სომხეთის ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის კონცეფცია“ (*Concept of DTT Switchover in Armenia*).²²

სატელევიზიო კონტენტის მიწოდების პლატფორმები გადანაწილებულია შემდეგნაირად:²³




Figure 4. გამოყენებულია DIGITAG-ის რესურსი

არსებული ანალოგური საეთერო ქსელის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მფლობელი სახელმწიფოა, რომელიც 203 წერტილს აერთიანებს. ფუნქციონირებს

²¹ შენიშვნა: ტერიტორია შეადგენს 29,800 კმ², მოსახლეობა 3.2 მილიონი, ოჯახების რაოდენობა 785 ათასი, ტელევიზორების რაოდენობა 880 ათასი საიდანაც 300-400 ათასი ტელევიზორი აღჭურვილია DVB-T ტუნერით.

²² http://www.ypc.am/upload/15_OSCE_analysis%20on%20Concept%20Paper_arm.pdf

²³ TVRBN, Armenia

ორი ლოკალური მნიშვნელობის კერძო ქსელიც, თუმცა მათი გადამცემების საერთო რაოდენობა 30-ს არ აღემატება.

2008 წლის 10 სექტემბერს, სომხეთის პარლამენტმა შეიტანა შესაბამისი ცვლილებები ტელევიზიისა და რადიოს კანონში, ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ცვლილებებით დადგინდა, რომ 2010 წლის ივლისიდან არ უნდა გაცემულიყო რადიო სიხშირეების გამოყენების ლიცენზიები, ხოლო არსებულის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2011 წლის 21 იანვრამდე.^{24,25} სომხეთის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის კონცეფციით ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის ვადად ამბიციური თარიღი - 2012 წელი დასახლდა, თუმცა ეს პროცესი დღესაც საკონკურსო ეტაპზეა და მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდა დათქმულ დროში. ხსენებული გეგმით, ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროექტის ბიუჯეტი 100 მილიონ აშშ დოლარამდეა, თუმცა მასში არ არის ასახული ბოლო მომხმარებლების დახმარების თანხები, თუმცა სახელმწიფო გეგმავს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას.²⁶

2.6 აზერბაიჯანი²⁷

კავკასიის ქვეყნებს შორის აზერბაიჯანი მოცემული ეტაპისათვის პროცესის ლიდერად მოიაზრება. ბაქოში საცდელი ციფრული საეთერო მაუწყებლობა ამოქმედდა 2004 წლის სექტემბერში, რომლითაც გადაიცემოდა 4 სატელევიზიო პროგრამა MPEG-2 კომპრესიის ფორმატით. კომპრესიის MPEG-4 ფორმატი ამოქმედდა 2009 წლის ივლისში, რომლითაც ვრცელდებოდა 10 სატელევიზიო არხი. ამ ქსელმა დაფარა მოსახლეობის 18% და ქვეყნის ტერიტორიის 15%. ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის თარიღი აზერბაიჯანისთვისაც 2015 წელია, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სომხეთის მსგავსად და საქართველოსაგან განსხვავებით, მოსახლეობის 95%-ზე მეტი დამოკიდებულია საეთერო

²⁴ სომხეთის მთავრობის აღნიშნული მორატორიუმი აღქმულ იქნა, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება

²⁵ TRANSITION PROCESS TO DIGITAL TV AND RADIO BROADCASTING IN ARMENIA.

[www.partnership.am/res/...Eng/Recom-Digital-\(eng\)-2010.doc](http://www.partnership.am/res/...Eng/Recom-Digital-(eng)-2010.doc)

²⁶ TV MARKETS : GEORGIA , ARMENIA, TURKMENISTAN AND BELARUS. 2013 BY ARTEM AKALUYCK , <http://www.prensario.tv/docus/PDFs/10TVMarkets.pdf>

²⁷ შენიშვნა: ტერიტორია 86,600 კმ², მოსახლეობა 8.9 მილიონი, ოჯახები 1.8 მილიონი, ტელევიზორების რაოდენობა 2 მილიონი.

პლატფორმაზე, სატრანსპორტო ქსელის მფლობელია კომპანია „ტელერადიო“ (Teleradio), რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო. საეთერო ქსელი მოიცავს 233 გადამცემს.

აზერბაიჯანში ციფრული საეთერო მაუწყებლობის განვითარებისა და დანერგვის სახელმწიფო პროგრამა (The Program of DTT Development and Introduction in Azerbaijan)²⁸, დამტკიცდა ქვეყნის მთავრობის მიერ 2008 წელს და მოიცავს გაციფრულების სამ ეტაპს:

ეტაპი პირველი (2007 – 2010) ორი მულტიპლექსის აგება, 4 სატელევიზიო პროგრამით. HD ხარისხის კონტენტი მიწოდებული უნდა იყოს მხოლოდ ბაქოში, განჯაში და ნახიჩევანში. ერთმა მულტიპლექსორმა უნდა დაფაროს მოსახლეობის 60-70%.

ეტაპი მეორე (2011 – 2013) მესამე მულტიპლექსორი აიგება მხოლოდ ბაქოში, განჯაში და ნახიჩევანში. სამი მულტიპლექსორით უნდა დაიფაროს ქვეყნის 90%.

მესამე ეტაპზე (2014 – 2015) ქსელმა უნდა დაფაროს ქვეყნის 98%, ხოლო დაბალი ხარისხის მიღების ზონებში უნდა დაემატოს გადამცემები შესაბამის ანძებზე.

²⁸ <http://www.dvb.org/news/worldwide/list/country/azerbaijan>

3. საქართველოს სამაუწყებლო ბაზრის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შეკვეთით სამაუწყებლო პრიორიტეტების დადგენის მიზნით „აი-პი-ემ-ის“ ჩატარებული კვლევით²⁹ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სამაუწყებლო კონტენტის მისაწოდებლად გამოყენებული ტექნოლოგიური პლატფორმებიდან საეთერო ქსელს უკავია 41%, თანამგზავრულს 40%, ხოლო დანარჩენი სადენიან პლატფორმებს (საკაბელო ანალოგური და ციფრული IP პლატფორმას).³⁰




Figure 5. გამოყენებულია IPM-ის რესურსი.³¹ (კვლევაში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ: პროცენტური მაჩვენებლები გადანაწილებულია შემდეგნაირად საეთერო 41%, თანამგზავრი 41%, საკაბელო 20% IPTV პლატფორმა 12%).

ამავდროულად საგულისხმოა, რომ ე.წ. ყვარელის და ზუგდიდის სამაუწყებლო ზონებში მდგომარეობა განსხვავებულია და ეს გეოგრაფიული ზონები მოსახლეობის

²⁹ ტელერადიომაუწყებლობების პრიორიტეტების კვლევა, 2013, IPM. კვლევა ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დაკვეთით

³⁰ შენიშვნა: გაურკვეველია, თუ რომელ კატეგორიასაა მიკუთვნებული საკაბელო ციფრული პლატფორმა, რომელიც აიპი ტექნოლოგიით აწვდის მომხმარებელს კონტენტს, თუმცა საერთო სურათს ეს მონაცემი მაინც ვერ ცვლის.

³¹ შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები აღებულია აი-პი-ემ-ის კვლევიდან (გვერდი 31), თუმცა მონაცემები სავარაუდოდ დასაზუსტებელია.

რაოდენობის კუთხით საკმაოდ კონცენტრირებულია (იხ. დიაგრამა N2 და N3). მსგავსი მდგომარეობაა შიდა ქართლის ციფრულ ზონაშიც.




Figure 6. გამოყენებულია IPM-ის რესურსი




Figure 7. გამოყენებულია IPM-ის რესურსი

ქვემოთ წარმოდგენილი მოსახლეობის განაწილების შესახებ ინფორმაცია 10 ციფრული ზონის მიხედვითა წარმოდგენილი შესაბამისი მუნიციპალიტეტების ელექტრონული გვერდებიდან. მიუხედავად გარკვეული უზუსტობებისა, რადგან

აღებულია 2002 წლის მონაცემები, მათი გამოყენება აუცილებელია, როგორც ბოლო მომხმარებლის მხარეს განსახორციელებელი აქტივობების, ასევე ქსელის დაგეგმარების საკითხების განსაზღვრისას.

| ციფრული ზონა | მუნიციპალიტეტი | მოსახლეობა | მოსახლეობის სიმჭიდროვე (კაცი/კმ ²) | ტერიტორია (კმ ²) |
|--------------|----------------|----------------|--|------------------------------|
| 255 | ქედა | 21 000 | 46.4 | 452 |
| | ხულო | 35 500 | 50.2 | 710 |
| | შუახევი | 22 600 | 38.4 | 588 |
| | ადიგენი | 20 400 | 25.9 | 800 |
| | ახალციხე | 46 900 | 46.4 | 1 010 |
| | ახალქალაქი | 62 300 | 50.4 | 1 235 |
| | ასპინძა | 12 700 | 15.3 | 825 |
| სულ | | 221 400 | 39.3 | 5 620 |
| 250 | მესტია | 14 270 | 4.6 | 3 044 |
| | ზუგდიდი | 177 000 | 259.5 | 682 |
| | ფოთი | 47 700 | 733.8 | 65.8 |
| | წალენჯიხა | 40 300 | 62.2 | 647 |
| | ჩხოროწყუ | 32 660 | 52.7 | 619 |
| | გალი | 29 200 | 29.1 | 1 003 |
| | ხობი | 47 700 | 72.3 | 659 |
| | ოჩამჩირე | 24 600 | 10.3 | 2 400 |
| | მარტვილი | 47 333 | 53.7 | 880 |
| სულ | | 460 763 | 46.0 | 9 999 |
| 252 | ხელვაჩაური | 62 100 | 174.4 | 356 |
| | ქობულეთი | 92 900 | 129 | 720 |
| | ბათუმი | 160 000 | 2 462 | 65 |
| სულ | | 315 000 | 276 | 1141 |
| | ლენტეხი | 8 619 | 6.4 | 1 344 |
| | ცაგერი | 16 500 | 21.8 | 756 |
| | ონი | 8 370 | 4.8 | 1712 |
| | ამბროლაური | 15 000 | 13.1 | 1142 |
| | სენაკი | 48 800 | 93.6 | 521 |
| | აბაშა | 28 500 | 88.2 | 323 |
| | სამტრედია | 60 300 | 165.6 | 364 |
| | ლანჩხუთი | 37 800 | 70.9 | 533 |
| | ოზურგეთი | 84 100 | 124.5 | 675 |

| | | | | |
|------------|-------------------|----------------|--------------|---------------|
| 253 | ჩოხატაური | 22 900 | 27.7 | 825 |
| | ხონი | 31 200 | 72.7 | 429 |
| | ვანი | 33 800 | 60.6 | 557 |
| | ზესტაფონი | 75 400 | 178 | 423 |
| | ხარაგაული | 27 500 | 30 | 914 |
| | წყალტუბო | 73 600 | 116.4 | 632 |
| | ბაღდათი | 28 700 | 35.2 | 815 |
| | თერჯოლა | 45 000 | 126 | 357 |
| | ტყიბული | 30 100 | 62.8 | 479 |
| | ქუთაისი | 197 000 | 2 557 | 70 |
| სულ | | 873 000 | 67.8 | 12 871 |
| 249 | სოხუმი | 39 100 | 105 | 372 |
| | გულრიფში | 20 000 | 10.8 | 1 835 |
| | გაგრა | 37 000 | 47.9 | 772 |
| | გუდაუთა | 34 900 | 21.2 | 1 640 |
| სულ | | 131 000 | 28.4 | 4 619 |
| 256 | გორი | 149 000 | 64 | 2 327 |
| | ბორჯომი | 32 600 | 27.4 | 1 189 |
| | ხაშური | 61 800 | 105.6 | 585 |
| | კასპი | 52 100 | 64.8 | 803 |
| | ქარელი | 51 200 | 46.8 | 1 092 |
| | ახალგორი | 7 600 | 7.5 | 1 011 |
| | ცხინვალის რეგიონი | 42 000 | 1 400 | 30 |
| | ჯავა | 25 000 | 17.2 | 1 448 |
| | საჩხერე | 47 300 | 48.6 | 973 |
| | ჭიათურა | 55 000 | 101.4 | 542 |
| სულ | | 523 600 | 52.36 | 10 000 |
| 257 | დუშეთი | 33 400 | 11.2 | 2 981 |
| | სტეფანწმინდა | 4 900 | 4.5 | 1 081 |
| | თიანეთი | 13 400 | 14.7 | 906 |
| სულ | | 51 700 | 10.4 | 4 968 |
| 258 | დმანისი | 35 000 | 29.2 | 1198 |
| | წალკა | 21 750 | 20.7 | 1050 |
| | ნინოწმინდა | 34 600 | 25.7 | 1354 |
| | თეთრიწყარო | 25 370 | 21.6 | 1174 |
| | ბოლნისი | 78 700 | 97.8 | 804 |
| სულ | | 195 400 | 35.01 | 5580 |

| | | | | |
|------------|---------------|------------------|--------------|-------------|
| 259 | თბილისი | 1 170 000 | 3 342 | 350 |
| | რუსთავი | 122 500 | 2 041 | 60 |
| | გარდაბანი | 99 700 | 76 | 1 304 |
| | მარნეული | 117 700 | 125.8 | 935 |
| | მცხეთა | 65 200 | 80.9 | 805 |
| | საგარეჯო | 60 400 | 40.2 | 1500 |
| | ყვარელი | 40 660 | 40.66 | 1000 |
| | თელავი | 68 000 | 62.1 | 1094 |
| | გურჯაანი | 73 200 | 86.5 | 846 |
| | ახმეტა | 44 100 | 20 | 2200 |
| სულ | | 1 861 460 | 539.5 | 3450 |
| 261 | სიღნაღი | 42 650 | 34 | 1251 |
| | დედოფლისწყარო | 30 250 | 11.9 | 2530 |
| | ლაგოდეხი | 50 300 | 56.5 | 890 |
| სულ | | 123 200 | 26.3 | 4671 |

ზემოთ წარმოდგენილი მიახლოებითი მონაცემებიც ცხადყოფს, რომ საქართველოს ქალაქების და რეგიონების მოსახლეობის უმეტესობა დამოკიდებულია საეთერო ანალოგურ მაუწყებლობაზე. საკაბელო სატელევიზიო მომსახურების მაღალი ფასი და რეგიონებში ცუდად განვითარებული და დაბალ ხარისხიანი ქსელი, ასევე სატელიტური მაუწყებლობით მიწოდებული შეზღუდული პროგრამული რესურსი და საწყისი ხარჯები, წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომხმარებლის არჩევანზე უფასო მიწისზედა სამაუწყებლო მომსახურების სასარგებლოდ (განსაკუთრებით ოჯახში არსებული მეორე და მეტი ტელევიზორების მომხმარებლების უფასო საეთერო ციფრული მომსახურების ალტერნატივით).³² საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ აი-ფი-ემ-ის კვლევებით ნეგატიურ რეიტინგში საკაბელო ტელევიზიის ინდუსტრია ლიდერობს.³³

მიუხედავად მთელი რიგი ცვლილებებისა თანამგზავრული პლატფორმის მოცულობის ზრდის მიმართულებით, რეგიონებში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს, საეთერო სამაუწყებლო პლატფორმა გეოგრაფიული,

³² Digital Switchover in Broadcasting A BIPE Consulting Study for the European Commission (Directorate General Information Society) Final Report April 12, 2002

³³ სამომხმარებლო კმაყოფილების ხარისხი საქართველოში. ინფორმაცია გამოყენებულია 2013 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, IPM. http://ipm.ge/index.php?option=com_content&task=view&id=30&Itemid=1

ტექნოლოგიური, მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის და სადენიანი ქსელის განუვითარებლობის გამო, ინვესტორებისათვის საკმაოდ მიმზიდველს ხდის.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიცია და ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ორიენტირები

საქართველომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ზემოთ განხილული ქვეყნებისაგან განსხვავებით 2012 წლის ნოემბრიდან დაიწყო. 2012 წლის დეკემბერში შეიკრიბა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკონსულტაციო საბჭო. გამართული სამუშაო შეხვედრების და არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2013 წლის 7 მარტს ქვეყნის პრემიერ მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიული ხედვები წარმოადგინა.³⁴ ამ პროექტის შესაბამისად ციფრული საეთერო ქსელის მშენებლობაზე ლიცენზიის გაცემა, დროის სიმცირის გამო, უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს „ტელერადიო ცენტრზე“ - უკონკურსოდ, აღნიშნულ ქსელში დაშვება უნდა ყოფილიყო უფასო სამაუწყებლო ლიცენზიის არსებული მფლობელებისათვის 2017 წლამდე. პროექტით იგეგმებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საეთერო ქსელის მშენებლობის და შპს „ტელერადიო ცენტრის“ ქსელის მოდიფიცირების დაფინანსება 18 მილიონი ევროთი, ხოლო სოციალური მიმართულება სუბსიდირება 15 მილიონი ევროთი.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე აზრთა სხვა და სხვაობა დაფიქსირდა, თუმცა პროცესში ჩართული ყველა მხარე შეთანხმდა, რომ უნდა დამტკიცებულიყო ციფრული საეთერო მაუწყებლობის ევროპული სტანდარტი: DVB-T2, ხოლო კომპრესიის ფორმატი MPG4.

³⁴ http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=269&info_id=36256

2013 წლის 7 მარტს სამინისტროს არსებული ხედვის ირგვლივ გამოითქვა მთელი რიგი კრიტიკული მოსაზრებები, რამაც ჩვენი მოსაზრებით, განაპირობა საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხედვების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2013 წლის ივლისში წარმოდგენილი იყო ახალი ხედვა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რასაც საფუძვლად დაედო ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილების დამატებითი კვლევა და ქართული სამაუწყებლო ბაზრის ანალიზი, ისევე როგორც არასამთავრობო სექტორის მიერ წარდგენილი პრეზენტაციები და მოსაზრებები. სამინისტროს პრეზენტატორების მიერ გაჟღერდა, რომ ავსტრიის საეთერო³⁵ ბაზარზე არსებული გამოწვევები ყურადსაღები და გასათვალისწინებელი იყო ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს მოდელის შესარჩევად საქართველოსთვის.

ახალი ხედვის შესაბამისად ლიცენზიის გაცემა უნდა მომხმდარიყო კონკურსის საფუძველზე, რაც უდავოდ დადებითი მიმართულებაა. ლიცენზია უნდა გაიცეს კომერციული ოპერატორზე (MUX ოპერატორები), ხოლო სახელმწიფო ფინანსურად მაქსიმალურად იზოლირებული იქნება ამ პროცესისაგან. სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს მოდელის შესაქმნელად და ინვესტორის დასაინტერესებლად დაგეგმილია, 6 მულტიპლექსორის ლიცენზიის ერთ ლოტად გამოტანა კონკურსზე. გამარჯვებულ ოპერატორს საზოგადოებრივი მაუწყებლის და არსებული ლიცენზიანტების დაკმაყოფილების შემდგომ (მომავალ პერიოდზე ორიენტირებით 2 MUX საზოგადოებრივ მაუწყებელს, ხოლო 4 კომერციული მაუწყებლობისათვის), უფლება ექნება მოახდინოს ფასიანი სატელევიზიო პროგრამების შეთავაზება მაყურებლებისათვის. ექვსივე მულტიპლექსორის ამოქმედების ბოლო ვადად სავარაუდოდ 2017 წელი განისაზღვრება. მნიშვნელოვანია, რომ რისიკერების სუბსიდირება გამარჯვებული ოპერატორის ვალდებულებაში არის მოაზრებული.³⁶ რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების ინტერესების გათვალისწინებით არსებული ლიცენზიანტების კონსორციუმისათვის იგეგმება ერთი მულტიპლექსორისათვის საჭირო სიხშირული რესურსის გაცემა. არსებული საეთერო ლიცენზიანტებისათვის მზადდება შეთავაზება ერთი მულტიპლექსორის გადაცემის

³⁵ შენიშვნა: ავსტრიული ბიზნეს მოდელის შესაბამისად საქსელო მონოპოლისტი კონტენტის გავრცელებისათვის თავად უხდის თანხებს და არა პირიქით.

³⁶ შენიშვნა: წარმოდგენილი ხედვის შესაბამისად სახელმწიფო მინიმალურად მოახდენს მოსახლეობის სუბსიდირებას, დააფინანსებს იმ ნაწილს რომელსაც ვერ მოიცავს მოსახლეობის სუბსიდირების საუკეთესო წინადადება.

შესახებ, თუ არსებული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიანტები შეძლებენ კონსორციუმში გაერთიანებას.

საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ამგვარი ხედვა ემყარებოდა მთავარ ამოცანას - სახელმწიფოს მინიმალური ფინანსური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბებულიყო ინვესტორისათვის მიმზიდველი და სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს მოდელი. აღნიშნულ ოპერატორს ექნებოდა შესაძლებლობა საკმარისი სიხშირული რესურსის პირობებში მოეხდინა მის საცალო შეთავაზების პაკეტში 90 არხამდე დივერსიფიცირება (უფასოდ ტრანსლირებადი და ფასიანი კონტენტის ჩათვლით), რომელიც შესაძლებლობას მისცემდა კონკურენცია გაეწია სადენიანი და თანამგზავრული ციფრული და ანალოგური პლატფორმებით მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორისათვის მოკლე ვადიან და გრძელვადიან პერიოდზე გათვლით (პლატფორმათაშორისი კონკურენციის უზრუნველსაყოფად).


საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ამგვარი ხედვა, მათივე თქმით, ემყარებოდა იმ მდგომარეობის პრევენციას, რომელიც ავსტრიაში იყო ჩამოყალიბებული, სადაც მულტიპლექს ოპერატორის კონტენტის მფლობელებს სთავაზობდა საფასურს კონტენტის განთავსებისათვის და არა პირიქით, თუმცა ვფიქრობთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, მიუხედავად ახალ სტრატეგიულ ხედვებში ასახული უმნიშვნელოვანესი სიახლეებისა, არასწორად არის შეფასებული ქვეყნის საინვესტიციო რისკები და აღნიშნულის მიზეზი სამაუწყებლო ბაზრების მნიშვნელოვან განსხვავებებშია. გარდა ზემოთხსენებული ამოცანისა, უმთავრესია ის მიზნები, რომელიც უნდა მიღწეული იყოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შედეგად, როგორცაა მედიის თავისუფლების და მისი მრავალფეროვნების შენარჩუნება³⁷, ისევე როგორც ბაზრის ყველა მედიაექტორის ინტერესების გათვალისწინება. უმნიშვნელოვანესია მედიის გავრცელების საშუალებების მონოპოლიის საკითხის რეგულირებაც.³⁸

პირველ რიგში უნდა შევეხოთ იმ მდგომარეობას, რომელიც ავსტრიის სამაუწყებლო ბაზარზეა ჩამოყალიბებული. 2005 წლის მონაცემებით ავსტრიაში (მიწისზედა

³⁷ Declaration of the Committee of Ministers on protecting the role of the media in democracy in the context of media concentration. (Adopted by the Committee of Ministers on 31 January 2007 at the 985th meeting of the Ministers' Deputies). <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1089615>

³⁸ ევროპის საბჭოს 1636-ე რეზოლუცია (2008) Indicators for media in a democracy <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta08/ERES1636.htm#1>

საეთერო 11%), ისევე როგორც ბელგიასთან (8%), გერმანიასთან და ნიდერლანდების სამეფოსთან (9-9%) ერთად, ყველაზე სუსტადაა განვითარებული თანამგზავრული და სადენიანი პლატფორმებთან შედარებით, და ის გამოწვევები რაც არსებობს აღნიშნული ქვეყანების მედია ბაზარზე, ჩვენთვის მოცემულ პერიოდში ან არ არსებობს, ან საკმაოდ სუსტია პლატფორმათაშორისი კონკურენციის კუთხით.



ამგვარად მდგომარეობა, საეთერო ბაზრის სიდიდესთან მიმართებაში კარდინალურად განსხვავებულია ვიდრე ავსტრიაში და ინვესტორების დაინტერესებაც ქართული სამაუწყებლო ბაზრის მიმართ, მნიშვნელოვან წილად განსხვავებული იქნება. ქვეყნის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მთავარ ორიენტირად მდგრადი ბიზნეს მოდელის ჩამოყალიბება წარმოგვიდგენია, თუმცა მხოლოდ ევროპის კავშირის რეკომენდაციების დაცვით.

მეორეს მხრივ, არ არსებობს საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია. პროცესის წარმატებით განსახორციელებლად, უნდა მოხდეს შემდეგი ეტაპების მოცვა:

1. პროცესის სწორი გეგმარება;
2. საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო კამპანიის წარმოება;
3. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და მომზადება;
4. მულტიპლექს ოპერატორის შერჩევა და ლიცენზირება;
5. პროცესის აუცილებელი მიმართულებების სუბსიდირება-ფინანსირება;
6. ციფრული სატელევიზიო სისტემის უშუალო დანერგვის პროცესის სწორად წარმართვის მჭიდრო კონტროლი და კორექტირება ყველა ეტაპზე.

სამწუხაროდ ერთი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა გეგმარების ეტაპის დასრულება, ეს ეტაპი სავარაუდოდ, მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზებით, სამ თვიან პერიოდში უნდა დასრულდეს.

5. რეკომენდაციები საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პროცესის შესახებ რიგი ინფორმაციის არსებობისა, ბოლო თვეების განმავლობაში საზოგადოებისათვის უცნობია თუ რა მდგომარეობაა 2013 წლის ივლისის შემდგომ, რადგან არსებული შიდა აქტოვობების შესახებ ინფორმაცია არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი.

სახელმწიფოს მიერ არ არის მომზადებული და გამოქვეყნებული სტრატეგიული ხედვების და ორიენტირების პროექტი, რომელიც არასამთავრობო სექტორს და დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემდა მოეხდინათ მათი მოსაზრებების წარდგენა და პროცესში უფრო აქტიურად ჩართვა. უდავოა, საქართველოს მთავრობის მიერ, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელის მიერ, უნდა დამტკიცდეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია, როგორც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ძირითადი წარმმართველი და სახელმძღვანელო დოკუმენტი.

დღეს არსებული მდგომარეობით, თავისუფალი სიხშირული რესურსის არსებობის პირობებში,³⁹ მიმართვის შემთხვევაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია მოახდინოს კონკურსის გამოცხადება. მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის 2006 წლის შეთანხმებით განსაზღვრული სარეკომენდაციო სიხშირეების ჩამონათვალი, საქართველომ არ ან ვერ მოახერხა სიხშირეების დაცემის პროცესზე გარდამავალი გაციფრულების პროცესის სამართლებრივ ჩარჩოებში ჩასმა. არ ხდება

³⁹ შენიშვნა: საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ 50-ე მუხლი.

თავისუფალი სიხშირეების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა მარეგულირებელი კომისიის ვებ გვერდზე ან სულ მცირე წლიურ ანგარიშში, როგორც ეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითაა დადგენილი.

5.1. ბოლო მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა

არანაკლებ დიდ პრობლემად რჩება ბოლო მომხმარებლების შესახებ არსებული ინფორმაციის ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაცია სოციალურ მოწყვლადი ჯგუფების შესახებ, ზუსტი და გადამოწმებული მონაცემების გარეშე შეუძლებელია რისიკერების სუბსიდირების ფინანსური ვალდებულების ზუსტი და სრული განსაზღვრა (რომელიც როგორც მინიმუმ საკონკურსო ვალდებულების სახით უნდა განესაზღვროს ინვესტორებს)⁴⁰, ისევე როგორც იმ ხარჯების და პროცედურების განსაზღვრა, თუ რა წესით და ვის მიერ მოხდება ამ რისიკერების დარიგება. ამ ინფორმაციის არარსებობა, ინვესტორების მოზიდვის კუთხით, უარყოფითად უნდა შეფასდეს.

საქართველომ, სახელმწიფო დახმარების სტრატეგიის განსაზღვრისას, ევროპის ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს შემდეგი ორი მიმართულებით :

ა) მომხმარებლების მხარეს, რადგან მოსახლეობის უმეტესობის სოციალური მდგომარეობა არადადამაკმაყოფილებელია განსაკუთრებით კი რეგიონებში, სადაც საეთერო პლატფორმაზე დამოკიდებულება უფრო დიდია ვიდრე ქალაქებში⁴¹. საშუალო ფენის მომხმარებელმა ასევე უნდა შეიძინოს ტელევიზორი, რომელიც თავსებადია ციფრულ საეთერო ქსელთან ან შეიძინოს რისიკერი ციფრული სიგნალის მისაღებად. დიდ წილად სავარაუდოა, რომ ბოლო მომხმარებლების უმეტესობას დასჭირდება ოპტიმალური ხარისხის მიმღები ანტენების და მასთან დამაკავშირებელი კაბელის განახლება. სახელმწიფოს გააქტიურება აუცილებელია ბოლო მომხმარებლების ინფორმირების, ასევე საინსტალაციო/გამართვის მომსახურების მიმართულებით. აღნიშნული პროცედურების გარეშე, მითუმეტეს იმ

⁴⁰ შენიშვნა: არსებული მონაცემების დეტალურად განსაზღვრის გარეშე ინვესტორი შესაძლოა აღმოჩნდეს იმგვარი ხარჯების გაწევის რისკის წინაშე, რომელიც გაურკვეველი და ბუნდოვანია, რაც კონკურსის წარმატებას კითხვის ქვეშ დააყენებს.

⁴¹ European Union State Aid, public subsidies and analogue switch-off/digital switchover. Mark Wheelers. International Journal of Digital Television, February 2012

დროის პერიოდში, რაც რჩება საქართველოს 2015 წლის ზაფხულამდე, შეცდომები და რესურსების არაფექტური ხარჯვა მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს.

ბ) საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ სტრატეგიაში არაფერია ნათქვამი რეგიონებში არსებული, ადგილობრივი და რეგიონული მნიშვნელობის მომსახურების მიმწოდებლების, თუნდაც მინიმალური სახელმწიფო დახმარებების ან ხელშემწყობი რეჟიმის დადგენის შესახებ.

არ არის გამოკვლეული თუ რა მდგომარეობაა ტერმინალების ბაზარზე, როგორია შესაბამისი ტელევიზორების კონცენტრაცია ქვეყანაში და რა სახის ღონისძიებები იგეგმება ამ მიმართულებით კონცენტრაციის გასაზრდელად, იმპორტიორების ინტერესების დასაცავად და საცალო ბაზარზე შესაბამისი პროდუქტების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ქსელის გეგმარება უნდა მოხდეს სახურავის მიმღებ ანტენებზე გაანგარიშებით და არა სახლის ანტენების მიღებისათვის, რაც პლატფორმისშიდა კონკურენციის კუთხით ამ სერვისს, ქალაქის მოსახლეობისათვის ნაკლებად მიმზიდველს გახდის.⁴² სახელმწიფოს ყურადღება უნდა გაიზარდოს ამ მიმართულებითაც.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ციფრული მაუწყებლობის პროცესის სტიმულირებისათვის, სიღარიბის მიღმა მყოფი პირების სარეიტინგო შეფასების მიზნებისათვის, სამაუწყებლო ტერმინალები და მასთან დაკავშირებული მიმღები/საანტენო მოწყობილობები, არ იყოს შეყვანილი არა სასოფლო-სამეურნეო ქონების კატეგორიაში, რაც პროცესს უფრო გამჭვირვალეს გახდის და წაახალისებს ამ კატეგორიას მიკუთვნებულ მოსახლეობას მოახდინოს ტელევიზორების შეძენა (თუნდაც მეორადის).

პრობლემად რჩება ის გარემოება, რომ არ არის მიღებული გადაწყვეტილება, თუ როგორ მოხდება დახმარების გაწევა, ვაუჩერების დარიგებით, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყოს როგორც რისიკერების, ასევე შესაბამისი სტანდარტის ტელევიზორების ღირებულების ნაწილის დასაფინანსებლად, თუ რისიკერების

⁴² შენიშვნა: ციფრული საეთერო პლატფორმის მნიშვნელობა მეორე და მესამე ტელევიზორის მფლობელებისათვის ბევრად მოსახერხებელია, რადგან არ არის საჭიროება იმისა, რომ მოხდეს შიდა ქსელის შექმნა და სიგნალის მისაღებად საკმარისია ტელევიზორზე განთავსებული ანტენა. ქალაქების ციფრული საეთერო ქსელის მშენებლობა სასურველია, რომ არა სახურავის, არამედ სახლის პირობებში მიღების რეჟიმზე დაიგეგმოს.

პირდაპირი დარიგებით, რაც დააზარალებს ტერმინალებით ვაჭრობის საცალო ბაზარს.

5.2. გაუმჭვირვალე და დაურეგულირებელი ბაზარი

მიუხედავად IDFI-ის არაერთი თხოვნისა და გაფრთხილებისა, რომელთან დაკავშირებით კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ წერილობითი მიმართა სამინისტროს და მარეგულირებელ კომისიას⁴³, რომ მომხდარიყო იმ ბაზრების კვლევა და ანალიზი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, არის დაკავშირებული ციფრულ საეთერო ინფრასტრუქტურასთან, აქტივობები განხორციელებული არაა.⁴⁴ აღნიშნული პროცესი გაურკვეველი მიზეზით ჭიანურდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ. აღნიშნული ინფორმაციის არქონა ან/და მისმა გაუმჭვირვალობამ, შესაძლოა, დააყოვნოს და ხელი შეუშალოს ქვეყნის ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლის პროცესს, როგორც ქსელის დაგეგმარების და ხარჯების განსაზღვრის, ასევე ინვესტორების დაინტერესების მიმართულებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების ინფორმაციით, ქსელის თავისუფალი რესურსის შესახებ მოკვლევას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შერჩეული კომპანია ახორციელებს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოხდა ტექნიკური შინაარსის კითხვარების დაგზავნა შესაბამის ოპერატორებთან. ტექნიკური ექსპერტების მიერ ასევე ხორციელდება მდგომარეობის ადგილზე გაცნობა. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა მომზადდეს ტექნიკური პროექტი და სავარაუდოდ სამოქმედო გეგმა, თუმცა აღნიშნული აქტივობების მიუხედავად, გაურკვეველია (თუნდაც შედგეს ოპტიმალური და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ტექნიკური პროექტი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის) იმ ბაზრის სეგმენტებზე,

⁴³ შენიშვნა: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2013 წლის დასაწყისში მიწოდებული მოთხოვნის იგნორირების მიზეზად ბაზრის მოთამაშეების პრეტენზიის არარსებობაზე მიუთითა და ბაზრის კვლევა და ანალიზი არ დაიწყო. ამავდროულად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უარი განაცხადა მეიმართა მარეგულირებელი კომისისთვის ციფრული მაუწყებლობის დანერგვისათვის მნიშვნელოვანი ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის დაწყების მოთხოვნით.

⁴⁴ შენიშვნა: ინფორმაციის შესაგროვებლად ორიოდ კვირის წინ საქსელო ინფრასტრუქტურის მფლობელებთან გაგზავნილია ინგლისურ ენაზე შედგენილი კითხვარი.

სადაც საქმიანობენ მონოპოლისტი კომპანიები (როგორც ეროვნული მასშტაბის, ასევე ლოკალური მნიშვნელობის), თუ როგორ მოხდება დროის მოკლე პერიოდში მათ მიერ პასიურ ინფრასტრუქტურასთან ან ქსელთან დაშვების მაღალი ტარიფების დაწესების, დაშვებაზე უარის, არათანაბარი და დისკრიმინაციული პირობების დაწესების რისკების პრევენცია. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დროულად უნდა მოხდეს ამ ბაზრის სეგმენტების კვლევა, განისაზღვროს მონოპოლისტები და დადგინდეს კონკურენციის უზრუნველყოფის თუნდაც მინიმალური პირობები, პირველ რიგში გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ვალდებულებები.

მოცემულ ეტაპზე პრობლემად რჩება პროცესზე ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა და შეუსწავლელი ბაზრები, სადაც კვლავაც მონოპოლისტები საქმიანობენ. მდგომარეობას უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ეს კომპანიები შესაძლოა, მულტიპლექსორის ლიცენზიისათვის გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტებად ან მათ პარტნიორებად ვიხილოთ.

5.3 რეგიონული მაუწყებლების დახმარების სტრატეგიის და პოლიტიკის არარსებობა

საქართველოს მთავრობამ უნდა გააცნობიეროს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლობის მნიშვნელობა, როგორც ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების კონტროლის საშუალებების მნიშვნელობა და მათი უდიდესი როლის მედიის პლურალიზმის უზრუნველყოფის მიმართულებით და უნდა ჩამოაყალიბოს თავისი ხედვა რეგიონალური მედიის დასახმარებლად და განსავითარებლად. საქართველომ უნდა გამოიყენოს ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის კავშირის ფუნქციონირების დირექტივაში.⁴⁵ არანაკლებ მნიშვნელოვანია რეგიონული მედიის როლი საქსელო უსაფრთხოების კუთხით.

⁴⁵ საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკის ორიენტირები და ბენეფიციარები (მარტი, 2013 წელი) „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“. <http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/DSO-%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%20%282%29.pdf>

5.4. ტარიფების გაანგარიშების წინასწარი მოდელი

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ დაუშვებს მულტიპლექსორის 6 ლიცენზიის გაყოფის შესაძლებლობას, უმნიშვნელოვანესია, რომ საკონკურსო პირობებში გაწერილი ტარიფების დაანგარიშება მოხდეს წინასწარ განსაზღვრული სატარიფო რეგულირების ნორმატიული დოკუმენტის ფარგლებში. ამგვარ ღონისძიებად გვესახება შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც გამოყენებული იქნება კონკურსანტების მიერ მათი წინადადებების მოსამზადებლად. სარეკომენდაციო დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის დირექტივების და რეკომენდაციების საფუძველზე, ფინეთის და სხვა ქვეყნების დადებითი და უარყოფითი გამოცდილების გაანალიზებით, გამოქვეყნებულია და გადაგზავნილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის.⁴⁶ შემდგომ ეტაპზე, აუცილებელია მუდმივი მონიტორინგის ჩატარება ბაზრის მოთამაშეების მხრიდან ხარჯების კლასიფიცირების და კაპიტალის ღირებულების დადგენის წესის მართებულად გამოყენების კუთხით. ე.წ. ქსელის გარე მონიტორინგის მექანიზმი (განსაკუთრებით, ერთი მიმწოდებლის პირობებში) უნდა გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ოპერატორის ეფიციენტურობის დადგენისა და საჭიროებისამებრ, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის მხრიდან შესაბამისი სანქციის დაწესების პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ადგილი ექნება ოლიგოპოლიური გარიგების ნიშნებს, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უკიდურეს ზომად შეუძლია ე.წ. „price cap“-ის დადგენა, როდესაც ის თავად, არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით დაუდგენს ოპერატორების ზღვრულ ტარიფს, თუმცა ეს პროცესი ქსელის აგების შემდგომ უნდა მოხდეს. იმისთვის რომ ტარიფის ზედა ზღვრის დადგენამდე არ წარმოიშვას დაურეგულირებელი პერიოდი, სასურველია წინა აბზაცში წარმოდგენილი პროცედურების დაცვა.

⁴⁶ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ ციფრულ საეთერო მაუწყებლობის ქსელის მულტიპლექსორთან დაშვების ტარიფების განსაზღვრის სახელმძღვანელო დოკუმენტი აპრილი, 2013 წელი. ავტორი: გიორგი ხიშტოვანი <http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/DTTV%20-%20Tariff%20Calculation.pdf>

5.5. კონკურენცია

2013 წლის ივნისში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრატეგიული ხედვების და ბიზნეს მოდელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს პლატფორმის შიდა კონკურენციის არარსებობა, რაც უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ სამაუწყებლო ბაზარს და მის დამოუკიდებლობას.

პირველი რიგის ამოცანად, კონკურენციის უზრუნველსაყოფად, როგორც ეს ორგანიზაციის წინა კვლევებშიც იყო დაფიქსირებული, რჩება პლატფორმათაშორისი კონკურენციის უზრუნველსაყოფად, სულ მცირე ორი ოპერატორის არსებობა ბაზარზე, რაც 2015-2017 წლამდე პერიოდში 3-3 მულტიპლექსორის სიმძლავრის განაწილებით უნდა იყოს მიღწეული. შემდგომ პერიოდში, კი გამოთავისუფლებული სიხშირეებით მოხდეს (მათი მოთხოვნის შემთხვევაში) დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფა.

ანალოგური საეთერო მაუწყებლობის ბიზნეს მოდელისაგან განსხვავებით, სადაც ყველა მაუწყებელი თავად მართავდა საკუთარ გადამცემ ქსელს, კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება უფრო აქტუალურია ციფრული საეთერო ტექნოლოგიის დანერგვისას, რადგან თუ არ მოგვარდება დაშვების, გამჭვირვალობის და სხვა პრობლემები, არსებობს კონკურენციის შეზღუდვის რისკები, რაც საფრთხეს უქმნის ციფრულ მაუწყებლობის პროცესს და მედია კომპანიების არსებობას. თუ თვალს გადავალვით ქართულ საქსელო საბითუმო ბაზარს, პრობლემები მოუგვარებელი რჩება, ბაზრის კვლევა და ანალიზის მიზნით ადმინისტრაციული წარმეობა ან არ იწყება, ან მთავრდება კონკრეტული გადაწყვეტილებების გარეშე. აღნიშნულის თვალნათლივ მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „პირინგის“ (peering) საკითხზე არსებული მდგომარეობა.⁴⁷ საგულისხმოა საბითუმო ბაზრის სხვა სეგმენტების მდგომარეობაც. საყურადღებოა უკრაინის შემთხვევაც, სადაც მიუხედავად დიდი საზოგადოებრივი ზეწოლისა, მულტიპლექსორის რესურსთან დაშვების ტარიფების რეგულირება არ ხორციელდება და ეს საკითხი სახელმწიფო უწყებებს შორის „მოგზაურობს“.

⁴⁷ http://www.gncc.ge/files/7070_114298_736514_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20176-9,%2020.03.13.pdf

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის გარემოებაც, რომ არსებული ანალოგური ტრანსლირების ქსელი, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს საკუთრებაა. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს გარკვეულ რისკის შემცველს, სწორედ კონკურენციის შეზღუდვის კუთხით და პირველ რიგში მცირე ბიუჯეტისა, ადგილობრივი და რეგიონული ტელევიზიებისათვის.⁴⁸

კონკურენციის რეგულირების სწორმა პოლიტიკამ, კარგად დაგეგმილმა და დროულმა ღონისძიებებმა, უნდა უზრუნველყოს დაშვების პირობების მაქსიმალური გამჭვირვალობა, დაშვების არადისკრიმინაციულობა და ქსელის ყველა საჭირო ელემენტთან წვდომა ხარჯებზე ორიენტირებული და გონივრული ტარიფებით. ეს ღონისძიებები წარმოქმნის კონკურენტულ და სამართლიან პირობებს მაუწყებლებისათვის, რაც განავითარებს ბაზარს, უზრუნველყოფს ბოლო მომხმარებლებისათვის მიწოდებული სერვისების ფართო არჩევანს.

გაურკვეველია, თუ რატომ არიან თავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ევროკავშირის 2003 წლის რეგულაციის შესრულებას.⁴⁹ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიეცათ რეკომენდაცია, მათ შორის ციფრული საეთერო მაუწყებლობის განსავითარებლად, წინაწარი რეგულირების ფარგლებში, დაერეგულირებინათ საეთერო მაუწყებლობის მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტები, რომლებიც ბაზარზე შემოსვლისთვის პირობებს შექმნის იმ კომპანიებისათვის, რომლებსაც სურთ მოახდინონ სამაუწყებლო სერვისების გადაცემის მომსახურების შეთავაზება. ამასთან ერთად, რეკომენდაციები ითვალისწინებს მომსახურების მიწოდების საშუალების მიცემას იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ მომსახურება ციფრული საეთერო პლატფორმის შიგნით, დამატებითი სერვისების მიწოდების გზით. ევროპის კავშირის მიერ რეკომენდირებული ე.წ. მე-18 ბაზრიდან უნდა გამოიყოს და პრიორიტეტულად დარეგულირდეს საეთერო ციფრული მაუწყებლობის ქსელის მართვის და ქსელის ელემენტებთან დაშვების ბაზრის სეგმენტები.⁵⁰

⁴⁸ Guide to the Digital Switchover, OSCE, Vienna 2010

⁴⁹ COMMISSION RECOMMENDATION of 11 February 2003. on relevant product and service markets within the electronic communications sector susceptible to ex ante regulation in accordance with Directive 2002/21/EC of the European Parliament and of the Council on a common regulatory framework for electronic communication networks and services. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:114:0045:0045:EN:PDF>

⁵⁰ Response to Consultation: Market Analysis - Wholesale Broadcasting Transmission Services . COMREG. 2004 <http://www.cullen-international.com/cullen/exdocs/xd7140.pdf>

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამების ციფრულ საეთერო ქსელში განთავსება განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე და ემსახურებოდეს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესს, ასევე არ არღვევდეს ბაზარზე კონკურენციის პრინციპებს. ამ მიმართულებით სახელწმიფოს პოზიცია უცნობია.⁵¹

მიგვაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს შემდეგი მიმართულებების რეგულირება და კვლევა:

1. მჭიდროდ უნდა დარეგულირდეს იმ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საკითხები, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ კონკრეტულ რესურსთან წვდომაში;
2. წინასწარი რეგულირების ფარგლებში კომისიის მიერ უნდა მოხდეს კონკურენციის რეგულირება ე.წ. მე-18 ბაზრის რეგულირების მიმართულებით, „ბოლო მომხმარებლისათვის სამაუწყებლო კონტენტის მიწოდების“ საბითუმო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებისათვის სპეციალური ვალდებულებების დადგენით. საკაბელო და მიწისზედა საეთერო ქსელების მონოპოლისტებს, პირველ რიგში, უნდა დაუდგინდეთ გამჭვირვალობის, დისკრიმინაციის აკრძალვის და ტარიფების ხარჯებზე ორიენტირებულობის სპეციფიკური ვალდებულებები. გარდამავალი პერიოდისათვის დაშვების ვალდებულება უნდა გაიწეროს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის მსგავსად (შესაძლებელია ეს ნორმა მოქმედებდეს ბაზრის სრულ ლიბერალიზაციამდე);
3. წინასწარი რეგულირების ფარგლებში, კონკურენცია უნდა განისაზღვროს საბითუმო ბაზრის ყველა იმ სეგმენტზე, რომელიც უნდა გამოყენებული იყოს სამაუწყებლო სიგნალების გავრცელების პროვაიდერის მიერ, მათ შორის ანძებთან, თანალოკაციის ფართთან დაშვების მიმართულებით;
4. ეფექტური კონკურენციის და ქმედითი რეგულირების უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს ასევე არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთობლივად აშენების, ასევე გამოყენების საკითხის რეგულაციების შემოღება, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად საკანონმდებლო დონეზე;

⁵¹ Recommendation of the Committee of Ministers to member states on measures to promote the democratic and social contribution of digital broadcasting COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS Rec(2003)9. [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=Rec\(2003\)9&Language=lanEnglish](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=Rec(2003)9&Language=lanEnglish)

5. კომისიას უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება განიხილოს დავა მაუწყებელსა და საქსელო ოპერატორს შორის, ხოლო მისი განხილვის ვადები უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე (განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე);
6. მულტიპლექსორის სიმძლავრესთან დაშვების ხელშეკრულების მოშლის უფლება, ტელეფონის ურთიერთჩართვის მსგავსად, უნდა ხდებოდეს კომისიის ნებართვით და თანხმობით;
7. ყველა არსებული მაუწყებლის ინტერესების დასაცავად, ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის და მის საწყის ეტაპზე, უნდა დადგინდეს სტანდარტული ხარისხის სიგნალების გავრცელების ვალდებულება; ხოლო არსებული ანალოგური სიხშირეების გამოთავისუფლების შემდგომ, სიმძლავრის გაზრდის ან/და ალტერნატიული საეთერო ქსელის შექმნის შემდგომ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ უნდა გაიცეს თანხმობა HD არხების მიწოდების შესახებ, ასევე ფასიანი სატელევიზიო სერვისის მისაწოდებლად. ახალი სერვისების ნებართვის გასაცემად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა იმსჯელოს, დაშვების არსებული საბაზრო მდგომარეობიდან გამომდინარე;
8. ციფრულ მაუწყებლობის გარდამავალ ეტაპზე მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან დაშვების პრინციპი „პირველი მოვედი, პირველი უნდა დამიშვა“ უნდა შეიზღუდოს კომისიის მიერ. კომისიამ, დაშვების საკითხის შეფასებისას, უნდა იხელმძღვანელოს კანონით განსაზღვრული არსებით კრიტერიუმებით, ასევე იმ პირობებით, რომელიც მაუწყებლობის პრიორიტეტების კვლევის საფუძველზე გამოვლინდება;
9. თუ მაუწყებელი, შესაძლოა ამავედროულად გახდეს საეთერო ციფრული ქსელის ლიცენზიის მფლობელი(თუ ამას დასაშვებად მივიჩნევთ), ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ეტაპზე, უნდა დაეკისროთ ხარჯების და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, საქსელო და სამაუწყებლო კონტენტის წარმოების მიმართულებით. თუ გაიზრდება კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე, მას უნდა დაეკისროს სტრუქტურული სეპარაციის ვალდებულება სპეციალური ვალდებულების ფარგლებშია;
10. ციფრული მაუწყებლობის გარდამავალ ეტაპზე უნდა დარეგულირდეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ე.წ. სავალდებულო ტრანზიტის ვალდებულება;
11. აპარატურაზე (რისივერებზე) დაბალი ფასის შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს იმპორტიორების მიერ შემოტანილი აპარატურის საცალო ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე რომ

გარანტირებული იყოს შემოტანილი რისიკერების სრული ურთიერთ შენაცვლებადობა და მათი თავსებადობა სხვა ქსელებთან.

12. ფასიანი სატელევიზიო კონტენტის მიწოდების უფლება, გულისხმობს დახურული პროგრამული ტიპის რისიკერების დარიგებას, რაც შესაძლოა გახდეს ბაზარზე შემოსვლის დამაბრკოლებელი ფაქტორი კონტენტის მწარმოებლებისათვის და სერვის პროვაიდერებისათვის. ადგილობრივი და რეგიონული მედიის ინტერესების, ასევე ახალ შემომსვლელების ინტერესები უნდა მაქსიმალურად იყოს დაცული სატენდერო პირობებით და სალიცენზიო შეთანხმებით;
13. ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვა არ უნდა იწვევდეს ბოლო მომხმარებლისათვის და მაუწყებლებისათვის რაიმე უარყოფით შედეგს, არ უნდა აუარესებდეს არსებულ მდგომარეობას. ამ მიზნის მიღწევის შეფასებისას უნდა იყოს გამოყენებული ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები: ციფრული სიგნალის ხელმისაწვდომობა ანალოგურ სიგნალთან შედარებით და საზოგადოებრივი სამაუწყებლო პროგრამების მიღების შესაძლებლობა ციფრული სატელევიზიო ქსელის მეშვეობით;
14. თუ დამატებითი ინფრასტრუქტურის უშუალო გეგმარებისას აღმოჩნდება, რომ უნივერსალური დაფარვისთვის 95%-იანი ვალდებულების აღება და ამისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის რაოდენობა მნიშვნელოვნად არ ზრდის ხარჯებს, დაფარვის პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა გაიზარდოს 85%-დან 95%-მდე.
15. მნიშვნელოვანია რეზერვაციის საკითხების გათვალისწინება სატენდერო პირობებში და ტექნიკურ დავალებაში. სერვისის გავრცელების მონაცემი შესაძლოა იცვლებოდეს დღის პერიოდის ან პროგრამების მიხედვით. იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული სერვისების მიწოდების ხანგრძლივი ხარვეზები, აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის ან ტექნიკური მომსახურების ხარვეზების გამო, გადამცემ ჯაჭვში ჩართული ელემენტების კრიტიკულ ნაწილებს უნდა ჰქონდეს გარკვეული სარეზერვო რესურსი, მაგალითად პასიური რეზერვი კოდირების აპარატურისათვის n+1 კონფიგურაციით, ან აქტიური რეზერვაციის პრინციპით. პასიური რეზერვირების მოდელის უპირატესობაა გატარების მაღალ სიმძლავრე, რაც ყველაზე ოპტიმალურია გაუმართაობის შემთხვევაში მუშაობისათვის, თუმცა მას შედარებით მაღალი ფასი აქვს. ეს საკითხი SFN გადამცემების სინქრონიზაციისათვის უმნიშვნელოვანესია, რადგან სინქრონიზაციის სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, გადამცემები ხელს შეუშლიან

მუშაობაში ერთმანეთს, შესაბამისად, რეზერვაცია ამ ქსელებში და ამ მიმართულებით იქნება აუცილებელი.

16. სპექტრის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკონკურსო პირობების განსაზღვრისას და მათი შეფასებისას, დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს გამოყოფილი სიხშირული სპექტრის ყველაზე ეფექტური და მინიმალური გამოყენება იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ლიცენზიის პირობებით არის განსაზღვრული, ისევე როგორც ქსელის აგების კონკრეტული ტექნიკური გადაწყვეტა.

5.6 რეგიონული და ადგილობრივი მედიის ინტერესების გათვალისწინება

უმნიშვნელოვანესია, რომ შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგინდეს მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან წვდომის პირობები. აღსანიშნავია, რომ გარდამავალ პერიოდში და მის შემდგომაც, სახელწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ უნდა მოხდეს დაშვების პრიორიტეტულობის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პრიორიტეტულად უნდა მოხდეს იმ მაუწყებლების დაშვება, რომლებიც საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობდნენ ანალოგური მაუწყებლობის გამორთვამდე;
- პირველ ორ მულტიპლექსორში, არხების განთავსებისას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არაკომერციულ მაუწყებლებს, ასევე ადგილობრივ და უფასოდ ტრანსლირებად არხებს;
- პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაუწყებლებს, რომლებმაც უნდა განახორციელონ პრიორიტეტული მიმართულებების კონტენტის ტრანსლირება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოზიციის ჩამოყალიბება საკონცესიო შეთანხმებებთან დაკავშირებით, რაც უნდა წარმოადგენდეს წამახალისებელ და ალტერნატიულ ვარიანტს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში ანალოგური ლიცენზიის მფლობელებისათვის, მათი ინტერესების გათვალისწინებით. პირობები იმგვარად უნდა იყოს დადგენილი, რომ არ

ახდენდეს ლიცენზიანტების ინტერესების შელახვას და იცავდეს მათ სახელმწიფოს ზეწოლისაგან და ითვალისწინებდეს იმ გონივრულ ინტერესს, რაც კონცესიის პერიოდში ლიცენზიანტს გააჩნია.

უმნიშვნელოვანესია რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლებისათვის, მინიმუმ ერთი სიხშირის გამოყოფა ქვეყნის მასშტაბით, არა კონსორციუმისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ამას სთავაზობს მაუწყებლების კონსორციუმს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, არამედ ცალკეულ წერტილებში, იქ სადაც იარსებებს მოთხოვნა არსებული სამაუწყებლო ლიცენზიანტების მხრიდან. ამ სიხშირეების გამოყენებით მაუწყებლები მათი ამჟამინდელი ლიცენზიით განსაზღვრულ სამაუწყებლო ზონაში ააგებენ მცირე სიმძლავრიან მულტიპლექსის ქსელს მაუწყებლობის განსახორციელებლად. ქსელის მინიმალური პარამეტრები შესაძლოა განსხვავდებოდეს ეროვნული მულტიპლექსორებისათვის დადგენილი პარამეტრებისაგან. მინიმალურ სტანდარტებად შესაძლოა დადგინდეს DVB-T და MPG2, სიგნალის მიღების შესაძლებლობა ექნება სახელმწიფოს ან ინვესტორის მიერ სუბსიდირებულ ან დარიგებულ DVB-T2 რისივერებს.

მიგვაჩნია, რომ კონკურენციისაგან დაცული და ვერტიკალურად ინტეგრირებული მონოპოლისტი არასასურველია ისეთ საბითუმო ბაზარზე, რომელზეც 100%-ით დამოკიდებული ქვეყნის მედია საშუალებების ბედი, რაც კარგად გამოჩნდა უკრაინის პრაქტიკის უარყოფით მაგალითზე. უალტერნატივობის გამო, შესაძლოა, სხვადასხვა გზებით მოხდეს კონტენტის მწარმოებლების შეზღუდვა, მაგალითისათვის დისკრიმინაციული და გაუმჭვირვალე პირობებით, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვნად, მაინც მულტიპლექსში დაშვების ტარიფების ოდენობის პრობლემა დგას. კარგ მაგალითს წარმოადგენს ტანზანიის მოდელი სადაც მარეგულირებელმა კომისიამ, მიუხედავად ზეწოლისა, მოახერხა და ხარჯებზე ორიენტირებულობის უზრუნველსაყოფად, მულტიპლექს ოპერატორის მიერ დადგენილი ტარიფები რამდენიმეჯერ შეამცირა. ეს ჯერჯერობით ვერ მოახერხა უკრაინამ, სადაც მიუხედავად დიდი ვნებათაღელვისა და დავებისა, საკითხის გადაჭრა არ ხდება.⁵²

⁵² ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის უკრაინული მაგალითები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2013 წელი. <http://www.idfi.ge/?cat=news&topic=423&lang=ka>